დაიწყო ლაშქრობა 230.000 ტონა ჩაისათვის!

მაისი ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვეა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 — მაისი ოთხშაბათი — 1970 — ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 105 (14709)

ნალენჯიხის რაიონის სოფელ მიქავას კოლმეურნეობამ წელს უნდა მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 600 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. მოწინავე მეჩაიეები უკვე შეუდგნენ ჩაის ფოთლის კრეფას. თვითეული მათგანი დღეში 50-60 კილოგრამ ფოთოლს კრეფს. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მეჩაიე მარმარა კვარაცხელიას, რომელიც ჩაის კრეფის ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მას მიმაგრებული აქვს 0,4 ჰექტარი პლანტაცია. გეგმით უნდა მოკრიფოს 2,5 ტონა ფოთოლი, მან კი იკისრა 5 ტონის მოკრეფა.

ფოტო ბ. ბოგოხიასი.

ლია წერილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი

ჩვენ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ქვემოთ ხელისმომწერმა წევრებმა, თვითეულმა ცალ-ცალკე მივიღეთ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, სასწავლებლების კოლექტივების, აგრეთვე ამომრჩეველთა საოლქო წინასაარჩევნო თათბირების წერილები და დეპეშები, რომლებშიც ისინი გვაცნობენ, რომ დაგვასახელეს სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში და გვთხოვენ კენჭი ვიყაროთ ამ ოლქებში.

გულითად მადლობას ვუხდით მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, ყველა ამომრჩეველს, რომლებმაც დაგვასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად. დიდ პატივსა და ნდობას, რომელიც ჩვენ აღმოგვიჩინეს, მთლიანად მივაკუთვნებთ ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას და ეს ნდობა მიგვაჩნია იმის დადასტურებად, რომ მთელი ხალხი მხარს უჭერს პარტიის პოლიტიკას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

რადგან თვითეულ ჩვენგანს შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გვირჩია დავთანხმდეთ კენჭი ვიყაროთ შემდეგ საარჩევნო ოლქებში:

ლ. ი. ბრეჟნევმა — კავშირის საბჭოში, ბაუმანის საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი.

გ. ი. ვორონოვმა — კავშირის საბჭოში, ნოვოსიბირსკის ოქტომბრის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ნოვოსიბირსკი.

ა. პ. კირილენკომ — კავშირის საბჭოში, სვერდლოვსკის ჩკალოვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი სვერდლოვსკი.

ა. ნ. კოსიგინმა — ეროვნებათა საბჭოში, მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქი, რუსეთის სფსრ.

კ. ტ. მაზუროვმა — კავშირის საბჭოში, მინსკის საქალაქო პირველი საარჩევნო ოლქი, ქალაქი მინსკი.

ა. ი. პელშემ — ეროვნებათა საბჭოში, კიროვის საარჩევნო ოლქი, ლატვიის სსრ.

ნ. ვ. პოდგორნიმ — კავშირის საბჭოში, ლენინგრადის საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი.

დ. ს. პოლიანსკიმ — ეროვნებათა საბჭოში, კრასნოდარის საარჩევნო ოლქი, რუსეთის სფსრ.

მ. ა. სუსლოვმა — კავშირის საბჭოში, კიროვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ლენინგრადი.

ა. ნ. შელეპინმა — ეროვნებათა საბჭოში, ლენინგრადის საქალაქო საარჩევნო ოლქი, რუსეთის სფსრ.

პ. ე. შელესტმა — კავშირის საბჭოში, კიევის ჟოვტნევის საარჩევნო ოლქი, ქალაქი კიევი.

ი. ვ. ანდროპოვმა — კავშირის საბჭოში, კავშირის საარჩევნო ოლქი, მოსკოვის ოლქი.

ვ. ვ. გრიშინმა — კავშირის საბჭოში, პეროვსკის საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი.

პ. ნ. დემიჩევმა — კავშირის საბჭოში, ძერჟინსკის საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი.

დ. ა. კუნაევმა — კავშირის საბჭოში, ალმა-ათის ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ალმა-ათა.

პ. მ. მაშეროვმა — ეროვნებათა საბჭოში, მინსკის საქალაქო საარჩევნო ოლქი, რუსეთის სფსრ.

ვ. პ. მჟავანაძემ — ეროვნებათა საბჭოში, თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ.

შ. რ. რაშიდოვმა — ეროვნებათა საბჭოში, ტაშკენტის ლენინის საარჩევნო ოლქი, უზბეკეთის სსრ.

დ. თ. უსტინოვმა — ეროვნებათა საბჭოში, ლენინის საარჩევნო ოლქი, უდმურტეთის ასსრ.

ვ. ვ. შჩერბიცკიმ — კავშირის საბჭოში, კიევის ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი კიევი.

ი. ვ. კაპიტონოვმა — კავშირის საბჭოში, კინეშმის საარჩევნო ოლქი, ივანოვოს ოლქი.

კ. თ. კატუშევმა — კავშირის საბჭოში, საბჭოთა საარჩევნო ოლქი, ქალაქი გორკი.

თ. დ. კულაკოვმა — კავშირის საბჭოში, პეტროვსკის საარჩევნო ოლქი, სტავროპოლის მხარე.

ბ. ნ. პონომარიოვმა — ეროვნებათა საბჭოში, კალინინის საარჩევნო ოლქი, რუსეთის სფსრ.

მ. ს. სოლომენცევმა — კავშირის საბჭოში, შახტის საარჩევნო ოლქი, როსტოვის ოლქი.

ვთხოვთ სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს ჩვენი ეს განცხადება მიიჩნიონ დოკუმენტად დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის დროს.

ლ. ი. ბრეჟნევი	დ. ს. პოლიანსკი	პ. ნ. დემიჩევი	ვ. ვ. შჩერბიცკი
გ. ი. ვორონოვი	მ. ა. სუსლოვი	დ. ა. კუნაევი	ი. ვ. კაპიტონოვი
ა. პ. კირილენკო	ა. ნ. შელეპინი	პ. მ. მაშეროვი	კ. თ. კატუშევი
ა. ნ. კოსიგინი	პ. ე. შელესტი	ვ. პ. მჟავანაძე	თ. დ. კულაკოვი
კ. ტ. მაზუროვი	ი. ვ. ანდროპოვი	შ. რ. რაშიდოვი	ბ. ნ. პონომარიოვი
ა. ი. პელშე	ვ. ვ. გრიშინი	დ. თ. უსტინოვი	მ. ს. სოლომენცევი
ნ. ვ. პოდგორნი			

1970 წლის 5 მაისი.

სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია პრაღაში გაემგზავრა

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მიწვევით 5 მაისს მოსკოვიდან პრაღაში გაემგზავრა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პარტიისა და მთავრობის ოფიციალური დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **პ. ე. შელესტი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **პ. მ. მაშეროვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში **ს. ვ. ჩერვონენკო**.

ვიზიტის დროს გათვალისწინებულია ხელი მოაწერონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალ ხელშეკრულებას.

საბჭოთა დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულში. (საკდესი).

გულთბილი შეხვედრა პრაღაში

ბრაღა, 5 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მოწვევით დღეს პრაღაში ჩამოვიდა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის ოფიციალური დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

რუნის აეროდრომზე საპატიო საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები, პრაღის მრავალი მცხოვრები, სოციალისტური სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა.

შემხვედრთა შორის არიან წევრები საბჭოთა სამხედრო დელეგაციისა, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი **მ. ვ. ზახაროვი**, სხვა საბჭოთა სტუმრები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიაში ჩამოვიდნენ ფაშისტ დამპყრობლებისაგან ქვეყნის განთავისუფლების 25 წლისთავის ზეიმზე.

ორი მოძმე ქვეყნის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროპორტის შენობაზეა ტრანსპარანტი, რომელზეც ჩეხურ და რუსულ ენებზე წარწერილია სიტყვები: „საბჭოთა კავშირთან სამარადისოდ!“.

საბჭოთა თვითმფრინავი ილ-62, რომელსაც საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საზღვრიდან ახლდა ჩეხოსლოვაკიის სამხედრო-საჰაერო ძალების რეაქტიულ ავიაგამანადგურებელთა საპატიო ესკორტი, აეროდრომზე უშვება.

საბჭოთა დელეგაციას გულთბილად, ძმურად ხვდებიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ჰუსაკი**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი **ლ. ხვობოდა**, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარე **ლ. შტროუგალი**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარე **დ. განესი**, სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

აეროდრომზე ჟღერს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები, გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები.

ამხანაგებმა **ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ნ. კოსიგინმა, გ. ჰუსაკმა, ლ. ხვობოდამ** და **ლ. შტროუგალმა** ჩამოუარეს საპატიო ყაროულის მწყობრს. პიონერებმა საბჭოთა სტუმრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს. პრაღის 10.000-ზე მეტი მშრომელი მიესალმა საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს წითელი საბჭოთა და სამფეროვანი ჩეხოსლოვაკიური ალმებით, მქუხარე ტაშით, შეძახილებით „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“, „საბჭოთა კავშირთან სამარადისოდ!“, „გაუმარჯოს საბჭოთა არმიას!“.

ამხ. **გ. ჰუსაკი** მიდის მიკროფონთან. იგი ამბობს:

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ,
ძვირფასო ამხანაგო კოსიგინ,
ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

ნება მიბოძეთ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის სახელით, ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სახელით გულითადად და გულწრფელად მოგეხალმოთ ჩეხოსლოვაკიაში ჩამოსვლისას. ჩვენი ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა ცნობას, რომ ჩამოდის ახალი საპატიო პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ დღეებში გმირი საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი ხალხების განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულმა ჩვენში კულმინაციურ მომენტს მიაღწია.

მოგეხალმებით როგორც იმ საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებსა და წარმოგზავნილებს, რომელმაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა. მუშათა კლასისა და მშრომელი ხალხის ხელისუფლების ერა, სამართლიანი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ერა.

1917 წლიდან მოყოლებული რევოლუციურმა იდეებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ჩვენი მუშათა კლასისა და სხვა მშრომელთა აზროვნებაზე. უკვე დიდი

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღე

5 მაისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ამ დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. საღამო მოაწყო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა, რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა დღესასწაულზე მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული მუშაკები, ქალაქის მშრომელების, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საზეიმო საღამოს პრეზიდიუმში იჯდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე დ. გოგოხია, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. შეშარდნაძე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები, რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, „გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა დ. მჭედლიშვილმა.

საღამოზე მოხსენება გააკეთა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა შ. ყარამანაშვილმა.

— დღეს, — თქვა მან, — ბეჭდვითი სიტყვის მუშაკების, საბჭოთა ჟურნალისტების დღესასწაულია, რომელიც ბასებში სიმართლე მიაქვთ. თვით ჩვენს დღესასწაულს დასაბამი მისცა ლენინურმა ნიშანსვეტმა ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში — ლენინური „პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლამ.

სიმართლე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მთელი საბჭოთა პრესის სიმბოლო გახდა.

საბჭოთა ჟურნალისტები თავიანთ მკითხველებს არა მარტო აცნობენ პარტიის ცოცხალ სიტყვას, არამედ მშრომელებს რაზმავენ სახალხო-სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა ამოცანის გადასაწყვეტად.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი წვლილი შეაქვთ ქართველ ჟურნალისტებს საერთო საქმეში.

ქართველი ჟურნალისტები, თქვა დასასრულ ამხ. შ. ყარამანაშვილმა, ყველავე დაუცხრომლად იბრძოლებენ პარტიის იდეალების განხორციელებისათვის, შექმნიან თანამედროვეობის მკაფიო მატიანეს, აღზრდიან კომუნიზმის შენებულ და მტკიცე მშენებლებს.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი

სერგო ვიქტორის-ძე საყვარელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეჩაიეებო!

რაოდენობაც, ხარისხიც!

ლენინის საიუბილეო 1970 წლის ვალდებულებების შესრულებისათვის სახელოვანი მეჩაიეები მტკიცე პირობას იძლევიან—ნამშობლოს მიცემენ 230 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 225 ათასისა.

წლევანდელმა უჩვეულო გაზაფხულმა — აპრილში დამდგარმა მზიანმა, თბილმა ამინდებმა საუკეთესო პირობები შექმნა ჩაის ბუჩქების ვეგეტაციისათვის და კრეფა შარშანდელთან შედარებით უფრო ადრე დაიწყო. თუ შარშან მაისისათვის მოკრეფილი იყო 1.500 ტონა ჩაის ფოთოლი, წელს ამავე პერიოდში მოკრეფილია თითქმის 25.000 ტონა. მარტო 4 მაისს რესპუბლიკაში მოიკრიფა 3.600 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

მეჩაიეობის რაიონების ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა კარგად მოემზადა კრეფის სეზონისათვის. დროულად შეიტანეს აზოტოვანი სასუქების პირველი დოზა, შეაკეთეს პლანტაციებში მისასვლელი გზები, ფარდულები, მიმღები პუნქტები, მოიმარაგეს საკრეფი კალათები, ნედლეულის გადასაზიდი ყუთები, სასწორები, ინვენტარი, სპეციტანსაცმელი, წესრიგში მოიყვანეს ტრანსპორტი, ყველა სამუშაოზე გულდასმით შეარჩიეს კადრები. დიდ ყურადღებას უთმობენ მეჩაიეთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

მაგრამ ასე როდი მოიქცნენ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ოჩამჩირის რაიონში გაჭიანურდა პლანტაციების გადაბარვა, ბუჩქების გასხვლა-გაფორმება. აქ ასობით ჰექტარი პლანტაცია დარჩა ისე, რომ შეტანილი არ არის ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები. ეს პირველ რიგში შეეხება ჭლოუს, მოქვის, აძიუბჟის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებს.

ზოგიერთ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, ჩაის გადამმუშავებელ ფაბრიკას ჩაის კრეფამ მოუმზადებელს მოუსწრო. რედაქციაში მოდის სიგნალები, რომ მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და ჩაის ფაბრიკებს აკლიათ მუშახელი და ფერხდება შემოსული დუღების კრეფა.

ჩაის მრეწველობის პროდუქციის წარმოებაში ჩაის ფოთლის ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მაისი **გადავაქციოთ მეტი და პირველი ხარისხის ნედლეულის დამზადების გადამწყვეტ თვედ.** ეს არის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. ჩაის ფაბრიკებმა უნდა უზრუნველყონ ნედლეულის დროულად, მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე გადამუშავება. ცხადია, საქმის წარმატებას გადაწყვეტს ჩვენი მეჩაიეების, სპეციალისტებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკების ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელება, შეთანხმებული მუშაობა.

უკანასკნელ წლებში მწყობრში ჩადგა 7 ახალი ჩაის ფაბრიკა, სადაც სეზონში შეიძლება 14 ათასი ტონა ჩაის ფოთლის გადამუშავება. აშენდა 140-ზე მეტი ახალი კაპიტალური მიმღები პუნქტი, მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების შესანახი 8.800 კვადრატული მეტრი საფაბრიკო და სარაიონთაშორისო საწყობები, რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკების უმრავლესობა მზად შეხვდა სეზონს.

ისე უნდა მოვაწყოთ მუშაობა, რომ თავიდან ავიცილოთ გასული წლის შეცდომები. მაგალითად, ჩოხატაურის, ლაითურის, გუბის, კინდღის, მუხისტატეს და სხვა ჩაის ფაბრიკებმა მეტად დაბალი მაჩვენებლები მიიღეს პროდუქციის ასორტიმენტის გეგმის შესრულების მხრივ.

ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან მეჩაიეებს, რომლებსაც არაერთხელ უსახელებიათ თავი. **ზსერ კიდევ მთავარია ხელით კრეფა, ხელით უნდა მოიკრიფოს ორასი ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.** მეჩაიეთა ბეჯით შრომაზეა დამოკიდებული ვალდებულების შესრულების ბედი. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს რაოდენობასთან ერთად ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვას. ამიტომ საჭიროა განუხრელად შეასრულოთ აგროწესების მოთხოვნები. მაისში 4-5-ფოთლიანი ყლორტებიდან უნდა მოიკრიფოს 2-3-ფოთლიანი დუღები კვირეთი და ბუჩქზე დატოვებულ ბქნას ორი ნორმალური ფოთოლი და თევზა ფოთოლი. ასევე აგროწესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდგომ თვეებში კრეფის დროს.

საქართველოს მეჩაიეებმა, ჩაის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ამას წინათ გულდასმით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოვლენების გაუმჯობესებისა და მომგებიანობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“, საბრძოლო ამოცანად დაისახეს ათვისებენ ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები, მიაღწიონ ნედლეულის, პროდუქციის წარმოების თვითღირებულების შემცირებას და ამ გზით შემდგომ გაუმჯობესონ ქართული ჩაის ხარისხი, მტკიცედ დაიცვან მისი მარკის ღირსება.

ჩაის ფოთლის კრეფა უკვე გაჩაღდა. მაისის თვითეული დღე ძვირფასია. ერთხელ კიდევ გულდასმით შევამოწმოთ კრეფის საქმეში არსებული მდგომარეობა. სასწრაფოდ გამოვასწოროთ შემჩნეული ნაკლოვანებანი. მთელი ძალები დავრაზმოთ იმისათვის, რომ ჩაის კრეფის ცხარე დღეები, კერძოდ, მაისი გამოვაცხადოთ დამკვრელურ თვედ. რაოდენობაც, ხარისხიც! — ეი საბრძოლო დევიზი.

მივცეთ სამშობლოს 230 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი! ეს არის მეჩაიეობის რაიონების პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ჩვენი მეჩაიეების სალდეიანო ამოცანა.

გულბილი შეხვედრა პრალიკი

(დასასრული)

ბანია, ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში, საბჭოთა კავშირმა ჩვენში შეიძინა გულწრფელ მეგობართა უდიდესი არმია.

თქვენი სახით, პატივცემულო საბჭოთა ამხანაგებო, მივესალმებით საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ნაცისტური და ფაშისტური აგრესიის, ოკუპაციისა და ბარბაროსობის წინააღმდეგ საშინელი ომის მთავარი სიმძიმე და აურაცხელი მსხვერპლის ფასად გაათავისუფლა ჩვენი ხალხები, დაიცვა ევროპის ცივილიზაცია. ჩეხი და სლოვაკი ხალხების მძიმე და მსხვერპლით აღსავსე ანტიფაშისტური ბრძოლის მთავარი ბურჯი და იმედის წყარო იყო საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლა და გამარჯვებანი. გასული წლის ზაფხულიდან ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში ეწყობა დღესასწაულები, რომლებიც უძღვნება ანტიფაშისტური ბრძოლისა და საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი ტერიტორიის თანდათანობით განთავისუფლების კულმინაციურ ამბების 25 წლისთავს.

მილიონობით ჩვენი ადამიანი დიდი გრძნობითა და სიყვარულით იგონებდა იმ დღეებს, როცა ფაშისტი ოკუპანტები გავაძევეთ ჩვენი ტერიტორიიდან და ჩვენს ხალხს მიეცა შესაძლებლობა თავისუფლად გადაეწყვიტა თავისი საქმეები. ამიტომ ჩვენი ხალხის თავისუფლება, ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა სამუდამოდ დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის, მისი არმიის, მისი კომუნისტური პარტიის განმათავისუფლებელ ბრძოლასთან.

ამ ისტორიული გამოცდილებიდან ჩვენმა ხალხმა გამოიტანა დასკვნა, რომ ჩვენი ეროვნული და სახელმწიფო არსებობა, თავისუფლება და მშვიდობიანი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა კავშირთან მჭიდრო კავშირით, მეგობრობითა და თანამშრომლობით. ჩვენი ომისშემდგომი განვითარების 25 წელი, უველა ჩვენი წარმატება სოციალისტურ საფუძველზე საზოგადოების მშენებლობაშია. ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული განვითარება შესაძლებელი იყო უწინარეს ყოვლისა ამ მჭიდრო კავშირისა და თანამშრომლობის შედეგად. ჩვენი ხალხის შეგნებაში საბჭოთა კავშირთან მეგობრობა გახდა ჩვენი სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და სოციალისტური განვითარების გარანტია.

ახლო წარსულში, როცა რეაქციულმა, ანტისოციალისტურმა და მემარჯვენე ძალებმა სცადეს დაეშლათ სოციალისტური წყობილება ჩეხოსლოვაკიაში, შეეიყვანთ მუშათა კლასისა და მშრომელთა ძალაუფლება, გამოეგლიჯათ ჩეხოსლოვაკია სოციალისტური ქვეყნების ოჯახიდან, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ჯანსაღმა ძალებმა საბჭოთა კავშირისა და სხვა მეგობარი სოციალისტური სახელმწიფოების ინტერნაციონალური დახმარებით აღკვეთეს ეს საფრთხე.

ჩვენი ხალხის ფართო ფენების მხარდაჭერით ერთი წლის ბრძოლის შემდეგ ჩვენი პარტიის ჯანსაღმა ძალებმა კვლავ განამტკიცეს საზოგადოებრივი წყობილების სოციალისტური საფუძვლები ჩეხოსლოვაკიაში, პოლიტიკური დამარცხება აგემეს შინაგან რეაქციულ ძალებს და მთავარ დარგებში გამოიყვანეს ჩვენი ერები, ჩვენი ხალხი ღრმა კრიზისიდან. კვლავ აღდგა ტრადიციული მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენს ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა ჩეხოსლოვაკია კვლავ მტკიცედ დგას სოციალისტურ სახელმწიფოთა საერთო ფრონტში, მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირთან.

ბედნიერი ვართ, რომ ამ ახალ ვითარებაში შეგვიძლია ვიდღესასწაულოთ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს განთავისუფლებისა და აღდგენის 25 წლისთავი, ბედნიერი ვართ, რომ ამ ჩვენს ზეიმში მონაწილეობის მიღება შეუძლია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დელეგაციას ასეთ მაღალ დონეზე. ჩვენი განთავისუფლების ამ წლისთავს მნიშვნელოვნად შეავსებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალი ხელშეკრულება, რომელსაც გვინდა ერთად მოვაწეროთ ხელი. ეს ხელშეკრულება ჩვენი შემდგომი ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობის საიმედო და მტკიცე საფუძველი იქნება, მომავალ წლებში ჩვენი ადამიანების მშვიდობიანი ცხოვრების საფუძველი იქნება.

პატივცემულო საბჭოთა ამხანაგებო!

თქვენ ჩამოდიხართ ჩეხოსლოვაკიაში როგორც მოკავშირე ქვეყანაში, ნამდვილ მეგობრებთან. საბჭოთა კავშირთან ეს მეგობრობა და სიყვარული წელს პირველი მაისის ზეიმზე ცხადყო თითქმის 4 მილიონმა ჩვენმა მოქალაქემ.

თქვენი სტუმრობა ჩვენს სამშობლოში, ჩვენი მოლაპარაკება შესაძლებლობას გვაძლევს ერთმანეთს გავუზიაროთ შეხედულებანი ჩვენთვის საინტერესო ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხზე როგორც ჩვენი ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის დარგში, ისე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი მოლაპარაკება ამ მხრივაც ნაყოფიერი და მეტად სასარგებლო იქნება.

ერთხელ კიდევ, ძვირფასო ამხანაგებო, სულითა და გულით გეუბნებით — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ქვეყანაში!

საპასუხო სიტყვაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

ძვირფასო ამხანაგო ჰუსაკ!

ძვირფასო ამხანაგო სვობოდა!

ძვირფასო ამხანაგო შტროუგალ!

ძვირფასო ამხანაგებო, შეგობრებო!

ფენი დავდგით რა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მიწაზე, ჩვენ უწინარეს ყოვლისა გვინდა მადლობა ვუძღვნათ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ანტონინ ნოვოტნეს და მთავრობას იმისათვის, რომ მოგვიწვიეთ თქვენს ქვეყანაში, რათა მონაწილეობა მივიღოთ ზეიმში ფაშისტთა ბატონობისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის გამო.

ფაშიზმზე გამარჯვების მეოთხედი საუკუნე — ეს არის დღესასწაული არა მარტო საბჭოთა ხალხისა, რომელსაც წილად ხვდა ფაშისტი აგრესორების, დამპყრობლებისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ ომის ძირითადი სიმძიმე. ეს არის დღესასწაული არა მარტო ჩეხოსლოვაკიის ხალხისა, რომლის განთავისუფლების უამი დაემთხვა ჰიტლერელთა სრულ განადგურებას. ეს არის უაღრესად ინტერნაციონალური ზეიმი. ბევრი ხალხი ეწეოდა ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ, და ახლინ დღეს იყოფენ ჩვენთან დიადი გამარჯვების სიხარულს.

ომის წლების მრისხანე განსაცდელში იწრთობოდა თანამებრძოლთა ძმობა, თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სოლიდარობა და მეგობრობა. ამ მეგობრობის ფანი კარგად იციან საბჭოთა ადამიანებმა, ჩეხებმა და სლოვაკებმა, იცის ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ყველა მონაწილემ. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საბრძოლო თანამეგობრობა სამუდამოდ ჩაწერილია ჩვენი ქვეყნების ისტორიაში. იგი ჩაწერილია აგრეთვე პრაღის — სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მშვენიერი დედაქალაქის ისტორიაში. როცა ომის უკანასკნელ დღეებში საბჭოთა არმიები გაეშურნენ ჰანუფობულ პრაღელთა დასახმარებლად, მათ პრაღა დაჩოქილი როდი დახვდათ — პრაღა იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ, პრაღა იბრძოდა ჩეხებისა და სლოვაკების თავისუფლებისათვის.

ომის შემდგომ წლებში სახელოვანი კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებულმა ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა შეძლეს განმტკიცებინათ ჩვენი საერთო გამარჯვების ნაყოფი. მათ შექმნეს სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც დადგა მარქსის, ენგელსის, ლენინის უკვდავი დროშის ქვეშ.

ამხანაგებო! ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის გამარჯვებამ საფუძველი შეუქმნა ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ნამდვილ ძმობას. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ჩვენი ვიზიტის დროს ხელს მოვაწერთ საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალ ხელშეკრულებას. იგი უთუოდ შეუწყობს ხელს იმ ძმური ურთიერთობის კიდევ უფრო განვითარებას, რომელიც საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ხალხებს აკავშირებს. დარწმუნებული ვარ, რომ [illegible] ახალი ხელშეკრულების ხელმოწერა [illegible] ეს [illegible] ფაქტი [illegible] ბრძოლაში [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული

მსოფლიო დღეს

გაღაჭრით გმოგენ ამერიკელთა ავანტიურას

- მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა
- დემონსტრაცია თეთრ სახლთან
- საპროტესტო განცხადებები

ბელსინკი, 4 მაისი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ აქ გაავრცელა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადება ამერიკა-საიგონის ჯარების კამბოჯის ტერიტორიაზე შეჭრასთან დაკავშირებით. განცხადებაში ნათქვამია, რომ ნიქსონის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას კამბოჯაში შეჭრის შესახებ მოჰყვა კიდევ უფრო გაუარესება ტრაგიკული მდგომარეობისა, რომელიც შექმნა ამერიკის აგრესიამ ვიეტნამსა და ლაოსში, და ქმნის ომის გაუთვალისწინებელი მასშტაბით გაფართოების საფრთხეს.

ბევრი ქვეყნის მთავრობები, აგრეთვე მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი, ხაზგასმულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადებაში, გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ავანტიურას ინდოჩინეთის მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს ყველა ხალხსა და მთავრობას იხმარონ სასწრაფო ღონისძიებანი და მოითხოვონ, რომ ამერიკამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ინტერვენცია კამბოჯაში, აგრეთვე მთლიანად და პირობის დაუთქმელად გაიყვანოს მთელი თავისი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, ლაოსიდან და კამბოჯიდან.

ვაშინგტონი, 4 მაისი. (საკდესი). **გუშინ თეთრი სახლის წინ** ლაფაიეტ-სკვერზე გაიმართა ომის საწინააღმდეგო მანიფესტაცია, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, დაბრუნონ ამერიკელი ჯარისკაცები სამშობლოში, და საპროტესტო წერილი გადასცეს პრეზიდენტ ნიქსონის სახელზე.

პოლიცია შეეცადა გაერეკა დემონსტრაცია. დაახლოებით 73-ზე მეტი კაცი, მათ შორის მშვიდობიანთვის ცნობილი მებრძოლი ექიმი ბენჯამინ სპოკი, ომის საწინააღმდეგო მოძრაობის აქტივისტები სემ ბრაუნი და დეივიდ ჰოკი, ორგანიზაციის „ვიეტნამის ომის გამო შეშფოთებულ მოვდელთა და ერისკაცთა“ ხელმძღვანელი რიჩარდ ფერნანდესი.

წინა დღეს აქ გაიმართა სტიქიური საპროტესტო დემონსტრაცია კამბოჯაში შეჭრის წინააღმდეგ. ამ დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ „დემოკრატიული მოქმედების მომხრე ამერიკელების“ ორგანიზაციის ყოველწლიური კონფერენციის დელეგატები.

ბერლინი, 4 მაისი. (საკდესი). **ადენის სააგენტო დიუსელდორფიდან იუწყება, რომ გერმანელთა** კომუნისტურმა პარტიამ განაცხადა მტკიცე პროტესტი კამბოჯაში ამერიკა-საიგონის ჯარების შეჭრის წინააღმდეგ. ეს შეჭრა ნათქვამია გერმანელთა კომპარტიის ხელმძღვანელობის წარმომადგენლის განცხადებაში, საერთაშორისო სამართლისა და ჟენევის შეთანხმებათა ახალი დარღვევაა. იგი წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ომის საშიშ გაფართოებას ინდოჩინეთში.

გერმანელთა კომპარტიამ დასავლეთ გერმანიის დემოკრატიულ ძალებს მოუწოდა გაილაშქრონ ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქტების წინააღმდეგ.

ბუქარესტი, 5 მაისი. (საკდესი). **რუმინეთის სააგენტო იუწყება, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა თავის განცხადებაში დიდ შეშფოთებას გამოთქვამს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დაძაბულობის გაძლიერებასთან დაკავშირებით.** იმ საფრთხის გამო, რასაც ქმნის სამხარი კონფლიქტის გაფართოება ინდოჩინეთში, ხაზგასმულია განცხადებაში, რუმინეთის მთავრობა და ხალხი კვლავ აღნიშნავენ, რომ საჭიროა შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტოს აგრესია ვიეტნამში, გაიყვანოს თავისი ჯარები და მოკავშირეების ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, შეწყვიტოს აგრესიული მოქმედება მსოფლიოს ამ რაიონის ხალხთა წინააღმდეგ.

ლონდონი, 5 მაისი. (საკდესი). **ინგლისის მშრომელნი სასტიკად გმობენ ამერიკის მხედრიონის აგრესიულ მოქმედებას. გუშინ ლონდონის, ჰაიდ-პარკში გამართული საპირველმაისო მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს საპროტესტო რეზოლუცია „კამბოჯაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხარი მოქმედების გაფართოებისა და ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის განახლების წინააღმდეგ“.** ასობით დემონსტრანტი მივიდა მიტინგის შემდეგ ამერიკის საელჩოს შეურბასთან, რათა გადაეცათ საპროტესტო რეზოლუცია.

ლაზოგში გამართულ მიტინგზე ინგლისის „უდიდესი პროფკავშირის—ტრანსპორტელთა და არაკვალიფიციურ მუშათა პროფკავშირის ლიდერმა ჯეკ ჯონსმა განაცხადა, რომ თუ ამერიკის მთავრობა ნამდვილად ესწრაფვის მშვიდობას, „მან დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები ვიეტნამიდან და კამბოჯიდან“.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა ნოტინჰემში, ნიუ-კასლსა და ქვეყნის მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

ტოკიო, 4 მაისი. (საკდესი). **ამერიკის იმპერიალიზმის აგრესია კამბოჯაში დანაშაულებრივი აქტია,** რომელიც ფიხქვეშ თელავს კამბოჯის ხალხის სუვერენიტეტსა და ნეიტრალიტეტს, ნათქვამია იაპონიის კომპარტიის **ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის** განცხადებაში, **რომელიც გაზეთ „აკატაში“ გამოქვეყნდა.** ეს აგრესია აგრეთვე ახალი სერიოზული ნაბიჯია აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების საქმის წინააღმდეგ. იაპონიის კომპარტია მტკიცე პროტესტს აცხადებს ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გაფართოების წინააღმდეგ და მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ეს აგრესია.

პარიზი, 5 მაისი. (საკდესი). **საფრანგეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეები პროტესტს აცხადებენ კამბოჯაში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციის წინააღმდეგ.**

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის შეწყვეტა მოითხოვეს ერთობლივ განცხადებაში კომუნისტური პარტიის, საფრანგეთის მშვიდობისათვის მოძრაობის, შრომის საყოველთაო კონფედერაციის, საფრანგეთის შრომის დემოკრატიული კონფედერაციის, სენისა და მარნის დეპარტამენტის ქალთა კავშირის ორგანიზაციებმა.

რკინიგზელთა ეროვნულმა ფედერაციამ, რომელიც შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შედის, მოუწოდა საფრანგეთის რკინიგზელებს გააფართოონ საპროტესტო მოძრაობა მთელ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე ომის გაგრძელების წინააღმდეგ.

ყველა კეთილი ნების ადამიანს

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდება

ბელსინკი, 5 მაისი. (საკდესი). **მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა მშვიდობიანთვის მებრძოლთა ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს 19 მაისს აღნიშნონ ვიეტნამელ, კამბოჯელ და ლაოსელ ხალხებთან სოლიდარობის საერთაშორისო დღე.**

ეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რომეშ ჩანდრამ. მან აღნიშნა, რომ ეს დღე აირჩიეს იმასთან დაკავშირებით, რომ 19 მაისს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო მინის დაბადების 80 წლისთავია. დღე ამ დღის აღნიშვნით დაიწყოს მშვიდობისათვის ბრძოლის ფართო კამპანია, რომელიც ცხადყოფს, რომ მთელი მსოფლიო უჭერს მხარს ინდოჩინეთის ხალხთა გმირულ ბრძოლას, თქვა რომეშ ჩანდრამ. ეს საერთაშორისო კამპანია მოიწყობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი სატელიტების ჯარების სამხრეთ ვიეტნამიდან და კამბოჯიდან დაუყოვნებლივ, მთლიანად და უშინაშენოდ გამოყვანისათვის, ამერიკელთა მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ლაოსის დაბომბვის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის ბრძოლის ლოზუნგებით.

რომეშ ჩანდრამ თქვა, რომ ამ ბოლო დღეების ამბებმა სერიოზულად გაამწვავეს საერთაშორისო დაძაბულობა. ამერიკის აგრესია კამბოჯაში, ხაზი გაუსვა მან, ძირს უთხრის მშვიდობის საქმეს არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

რ. ჩანდრამ აღნიშნა, რომ მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელ, ლაოსელ და კამბოჯელ ხალხთა ბრძოლას და მოუწოდა უფრო ფართოდ გაიშალოს მსოფლიო მასშტაბით მოძრაობა ამერიკის აგრესიის მსხვერპლთა დასაცავად.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

იაპონია. უცხოელი სტუდენტები, მათ შორის ამერიკელები, რომლებიც ტოკიოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, აქტიურად იბრძვიან ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ დემონსტრაციებსა და მიტინგებში, აწყობენ პიკეტებს ამერიკელთა სამხედრო ბაზებთან.

• • •

სურათზე: სტუდენტთა ჯგუფი პლაკატებით, რომლებითაც მოითხოვენ სამხრეთ ვიეტნამში ოკუპაციის შეწყვეტას, ამერიკელთა სამხედრო ბაზასთან.

სურათი იაპონურ ჟურნალ „ᲑᲣᲜᲒᲘᲡ ᲡᲘᲣᲜᲫᲘᲣᲚᲐᲜ“.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲢᲔᲠᲔᲖᲘᲜᲨᲘ

პრაღა, 5 მაისი. (საკდესი). საერთაშორისო მოტოლაშქრობის „გამარჯვების დროშის“ მონაწილეები ეწვევნენ ტერეზინის ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკს და გვირგვინებით შეამკეს ფაშიზმის მსხვერპლთა სიფლავები. შემდეგ აქ გაიმართა ახალგაზრდობის მიტინგი. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი ა. ი. როდიმცევი, საბჭოთა არმიის იმ ნაწილების მეთაური, რომლებმაც 25 წლის წინათ გაათავისუფლეს ტერეზინი.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 4 მაისს მოტოლაშქრობის მონაწილეებმა, რომლებსაც საბჭოთა არმიის ბრძოლების ადგილებში მიაქვთ ოცდახუთი წლის წინათ რაიხსტაგზე აღმართული დროშა, დატოვეს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია.

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ნიუ-იორკი, 5 მაისი. (საკდესი). **სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაავრცელა სსრ კავშირის მთავრობის განცხადების ტექსტი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა წაიკითხა მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე.**

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲢᲔᲠᲔᲖᲘᲜᲨᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲪᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ; ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“.

Ს. Ვ. ᲡᲐᲣᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ



გარდაიცვალა შველი პარტიული და საბჭოთა მუშაკი სერგო ვიმბორის-ძე საყვარელიძე, სკკპ წევრი 1932 წლიდან, სოციალისტური შრომის გმირი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

იგი დაიბადა 1911 წელს ზესტაფონის რაიონის სოფ. საზანოში ღარიბი გლეხის ოჯახში. მისი ცხოვრების გზა არის ნამდვილად საასახელო გზა ჭიათურის მაღაროს რიგითი მუშიდან ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკამდე. მან მაღაროში მუშაობა კარგად შეთავსა სწავლასთან (საღამოს სკოლაში) და 1932 წელს წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა. 1933 წელს იგი შედის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელსაც 1940 წელს ამთავრებს, ინსტიტუტში მას ირჩევენ კომკავშირის კომიტეტის მდივნად. ხოლო შემდეგ ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

1937 წლის სექტემბრიდან ს. საყვარელიძე უკვე პარტიულ სამუშაოზეა — ჯერ საქართველოს კპ გორის რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო 1939 წლის თებერვლიდან საქართველოს კპ ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოულის) რაიკომის პირველ მდივნად. 1943 წლის აპრილში მას ირჩევენ საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად.

პარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივნის პოსტზე იგი 1951 წლის ნოემბრამდე მუშაობს. აქ მიენიჭა მას 1949 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. 1951 წლის ნოემბერში ს. საყვარელიძე წამოყენებულ იქნა საქართველოს კპ ქუთაისის ახლად შექმნილი საოლქო კომიტეტის მდივნად, ხოლო 1952 წლის სექტემბერში ირჩევენ მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც ომუშავა ოლქის გაუქმებამდე. შემდეგ ს. საყვარელიძე ისევ უბრუნდება მედიცინას და ჩვეული ენერგიით ებმება ჩვენი რესპუბლიკის სამედიცინო ცხოვრებაში.

ს. საყვარელიძე 1953 წელს მუშაობდა თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. 1954 წელს დაინიშნა საქართველოს სსრ სამედიცინო ლიტერატურის გამომცემლობის დირექტორად, ხოლო ამ გამომცემლობის დახურვის შემდეგ, 1957 წლის დეკემბრიდან, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ სამედიცინო ლიტერატურის რედაქციის გამგედ. შეთავსებით ს. საყვარელიძე მუშაობდა აგრეთვე უფროს მეცნიერ მუშაკად სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში.

სადაც კი უმუშავნია, ნ. საყვარელიძე ყველგან და ყველფერში ერთგულად ემსახურებოდა პარტიისა და ხალხის საქმეს. ს. საყვარელიძე არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, იყო საქართველოს სსრ მეორე და მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XIX ყრილობის დელეგატი.

ს. საყვარელიძის კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი შრომა, აქედან 8 მონოგრაფიული ნაშრომია.

მიუხედავად ავადმყოფობისა, **ს. საყვარელიძემ მოამზადა და მიბეჭდინარე** წელს გამოსცა მონოგრაფია: „საქართველოს მედიკოსები დიდ სამამულო ომში“, რაც ავტორს გამოზნული ჰქონდა სადოქტორო დისერტაციად, მაგრამ არ დასცალდა.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ს. საყვარელიძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით.

ს. საყვარელიძე აქტიურად მონაწილეობდა მედიკოს-ისტორიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობაში და იყო ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

მისი ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გეგზავითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

Ს. Ვ. ᲡᲐᲣᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐ�გᲐᲜ

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 6 მაისს, საღამოს 8 საათზე განსვენებულის ბინაში, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 42, დაკრძალვა 7 მაისს, 5 სა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

საქართველოს კინემატოგრაფისტთა სტუმრები იყვნენ გამოჩენილი საბჭოთა კინემატოგრაფისტები სსრ კავშირის სახალხო არტისტები თ. მაკაროვა და ს. გერასიმოვი.

თბილისის კინოს სახლში გაიმართა ახალი ფილმის „ტბასთან“ დემონსტრაცია და განხილვა. ფილმი შექმნა ს. გერასიმოვმა თავისივე სცენარის მიხედვით.

სურათში მრავალი მოქმედი პირია. მაყურებელი ეკრანზე ხედავს თავის საყვარელ მსახიობს სსრ კავშირის სახალხო არტისტს ო. ყაკოვს, ნიჭიერ მწერალს, მსახიობსა და რეჟისორს ვ. შუკშინს, დანარჩენი როლები განაწილებული ს. გერასიმოვის სახელოსნოს მსახიობთა კურსის სტუდენტებს შორის. შესანიშნავად ასრულებენ როლებს ნ. ბელოხვოსტოვა, ვ. ტელიჩკინა და სხვები.

ფილმის განხილვაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. დოლიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები მ. ჯაფარიძე, რ. ჩხეიძე, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. ღოღობერიძე, დრამატურგები რ. ებრალიძე, გ. ხუხაშვილი, კინოოპერატორები მ. კობახიძე, ი. ქავთარაძე, მ. კოკორაშვილი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. გერასიმოვმა გულთბილი მადლობა გადაუხადა განხილვის მონაწილეებს გულითადი მასპინძლობისათვის ფილმის ობიექტური შეფასებისათვის. (საქდესი).

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ

Ა. ᲢᲐᲙᲘᲫᲔ,

საქართველოს სსრ პროკურორი, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველი.

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡᲐ და დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ პროკურატურის ორგანოებს, რომლებიც მოწოდებული არიან სრულყოფილად, ზუსტად განახორციელონ სოციალისტური კანონიერება.

საბჭოთა ადამიანის უფლებათა, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების დაცვა — პროკურატურის ორგანოების მოდაყვნობის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია.

კანონის განხორციელებაზე, მის გამოყენებაზე საჭიროა სათანადო კონტროლი. ამ ზედამხედველობას სახელმწიფოს სახელით ახორციელებს პროკურატურა. საბჭოთა პროკურატურის ძირითადი დანიშნულებაა დაიცვას სოციალისტური კანონიერება, მიაღწიოს კანონის სწორ გამოყენებას საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში.

პროკურატურის ორგანოების ფუნქციათა განსაზღვრისას ლენინმა სასტიკად გაიღაშქრა იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც მოითხოვდნენ პროკურატურის ორგანოების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის დაქვემდებარებას.

საპროკურორო ზედამხედველობა ხორციელდება სახელმწიფოს სახელით უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობითა და კონტროლით. თანამდებობის პირები, რომლებიც დაარღვევენ კანონის მოთხოვნას, მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დაისჯებიან ადმინისტრაციულ-დისციპლინარული წესით.

მოქმედი საპროკურორო ზედამხედველობის დებულება, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 24 მაისის ბრძანებულებით, ასახავს პროკურორისათვის კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობებს და სათანადოდ აწესრიგებს საპროკურორო მუშაობის სფეროს.

დებულების პირველი მუხლის თანახმად თანამდებობის პირებზე და საბჭოთა მოქალაქეებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრება სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს.

პროკურორები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ ადგილობრივი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად და ემორჩილებიან მხოლოდ და მხოლოდ ზემდგომ პროკურორს.

ჩვენი საზოგადოების თანამედროვე ეტაპაზე ერთი წუთითაც არ შეიძლება საპროკურორო მუშაობის შესუსტება. პროკურორმა, აღმოაჩენს თუ არა კანონის დარღვევას, ახსნა-განმარტება უნდა მოსთხოვოს თანამდებობის პირს, ცალკეულ მოქალაქეს, ე. ი. ყველას, ვისგანაც გამომდინარეობს კანონის დარღვევა, და მიიღოს სათანადო ღონისძიებანი.

პროკურორი მოვალეა დაუყოვნებლივ გააპროტესტოს ყველა დადგენილება, ბრძანება, ინსტრუქცია და განკარგულება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან ერთგვეროვნად, ერთგულად შეადარებით მნიშვნელოვნად იჭერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებისა და გაფლანგვის შემთხვევებმა, გაუმჯობესდა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე წინასწარი გამოძიების ხარისხი, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანოები ყველა ჯურის მომხვეჭელებთან ბრძოლაში ვერ მიაღწევენ სასურველ შედეგს, თუ სოციალისტური საკუთრების დაცვას თვითეული მოქალაქის სისხლხორცეულ საქმედ არ ვაქცევთ.

როგორც ფაქტები მოწმობენ, სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება ხდება იქ, სადაც მოისუსტებს სამეურნეო ორგანიზაციების კონტროლი; სადაც შემთხვევით მოხვდნენ თანამდებობაზე ცალკეული პირები, რომლებსაც არ ჰყოფნით გამბედაობა და კომუნისტური სიმტკიცე ამხილონ დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირები.

საჭიროა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამხილონ ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც ათასგვარი ფარისევლური გზით ცდილობენ შენიღბვას და თავიანთი მოქმედებით ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობენ სოციალისტური ქონების დატაცებას. უნდა ამაღლდეს მომთხოვნელობა ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიმართ. სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტისათვის ორგანიზაციის ხელმძღვანელს უნდა დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა.

სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცება მრავალ შემთხვევაში დაკავშირებულია ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად უცხო ისეთ დანაშაულთან, როგორიც არის მექრთამეობა. სხვა მძიმე დანაშაულთა შორის მექრთამეობა საშიში ხდება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოსათვის იმ მხრივაც, რომ ასეთი მოქმედება არყევს და სახელს უტეხს სახელმწიფო აპარატს. მექრთამეობა თავისი შინაარსით, ბუნებითა და მიზანდასახულობით უცხოა სოციალისტური საზოგადოებისათვის მისი განვითარების ყველა ეტაპზე. სოციალისტური სახელმწიფო არა მარტო ულმობელ ბრძოლას უცხადებს მექრთამეობას, რა სახითაც უნდა ვლინდებოდეს იგი, არამედ ძირფესვიანად ხსრის აღნიშნული სახის დანაშაულის ხელშემწყობ და წარმომშობ მიზეზებს.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც თანამდებობაზე შემთხვევით მოხვედრილი პირები, უხეშად არღვევენ რა სოციალისტური კანონის მოთხოვნებს, ბოროტად იყენებენ თანამდებობას, ეწევიან მექრთამეობას. ასეთ პირებს უნდა ახსოვდეთ, რომ რა შენიღბული სახეც უნდა ჰქონდეს მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს, ისინი გამოაშკარავებული იქნებიან და, ჩვენი საზოგადოების სამართლიან რისხვასთან ერთად, დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით.

საქართველოს სსრ პროკურატურა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად კვლავაც გაბედულად განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მექრთამეთა გამოსაამაკრავებლად და მათი დასჯის მიზნით.

ჩვენი აზრით, მექრთამეობის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა სახელგატეხილი, უპრინციპო, დამნაშავეობისადმი ლოიალურად განწყობილი პირები დროულად იქნან მხილებულნი და შეიცვალონ პატიოსანი ადამიანებით, რომლებიც მხარში ამოუდგებიან ჩვენს პარტიულ და სამინისტრაციულ ორგანოებს ყოველგვარი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა და მექრთამეთა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი მუშაობის, ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია და აღნიშნულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სულ მცირედი შესუსტებაც კი შეუწყნარებელია.

ადმინისტრაციული ორგანოებისა და მთელი ჩვენი საზოგადოების მოვალეობაა არა მარტო დანაშაულობისა და დამნაშავე პირის დადგენა, არამედ იმ გარემო პირობებისა და მიზეზების შესწავლა და აღკვეთა, რომელთა არსებობამ გამოიწვია დანაშაულის ჩადენა.

დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ჩვენმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. მარტოოდენ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობით სასურველი შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია.

საკმარისი არ არის დანაშაულის ჩადენის ფაქტის მარტოოდენ დადგენა, საჭიროა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სათანადო მტკიცებულებათა შეკრება, რაც საფუძველი გახდება აღნიშნული პირის დამნაშავედ ცნობისათვის.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. სასამართლოს, პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანები მოწოდებული არიან განუხრელად და ზუსტად შეასრულონ სოციალისტური კანონის მოთხოვნილებანი.

აღნიშნულ ორგანოთა შორის არსებული საქმიანი კონტაქტის მცირეოდენი შესუსტებაც კი დაუშვებელია და ბევრ შემთხვევაში ასეთი გარემოება ხელს უწყობს სოციალისტური კანონის აღსრულების არასწორ პრაქტიკას. შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გახსნილ ამათუიმ დანაშაულთან დაკავშირებით საჭიროა ჩატარდეს სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, რომლის საფუძველზე სასამართლოს შესაძლებლობა ექნება საქმეზე კანონიერი განაჩენის გამოსატანად.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, არის შემთხვევები, როცა სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენი აშკარად ლმობიერია და ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნილებებს, რასაც ჩვენი პარტია უყენებს ადმინისტრაციულ ორგანოებს დამნაშავეობისა და დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

სიღნაღის რაიონის სასამართლომ 1969 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით მირიანაშვილი, გოგოლაშვილი და სხვები (სულ 7 პირი) დამნაშავედ ცნო 14.528 კილოგრამი ხორბლის დატაცებაში და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ორ კაცს — 4 წლით, ერთს—3 წლით, ერთს—2 წლით, ორს—1 წლით და 6 თვით და ერთს— ექვსი თვით.

რესპუბლიკის პროკურატურის პროტესტის საფუძველზე განაჩენი, როგორც ლმობიერი გაუქმებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ.

გარდაბნის რაიონის სასამართლომ ბოროტი ხულიგნობის ჩამდენ ქელდიშვილს შეუფარდა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ქელდიშვილი წინათ ოთხჯერ იყო გასამართლებული ხულიგნობისათვის და ცნობილი იყო განსაკუთრებულ საშიშ რეციდივისტად.

განაჩენი, როგორც ლმობიერი, გაუქმებულია უმაღლესი სასამართლოს მიერ.

სახელმწიფოებრივი საქმისადმი ასეთი ზერელე და უპასუხისმგებლო მიდგომა შეუწყნარებელია. ასეთი პრაქტიკა დაღს ასვამს ადმინისტრაციული ორგანოების რთულ და სპატიო საქმიანობას.

სასამართლოს მიერ გამოტანილი ლმობიერი განაჩენისათვის მოსამართლესთან ერთად სრული პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც იმ პროკურორს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა კონკრეტული საქმის განხილვაში, ისე იმ პროკურორსაც, რომელმაც ზედამხედველობის წესით არ გაპროტესტა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი ლმობიერი განაჩენი.

საბჭოთა მოქალაქეებს კანონიერი უფლება აქვთ ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მოითხოვონ გადამჭრელ და ქმედით ღონისძიებათა განხორციელება დანაშაულის აღკვეთისა, მისი გახსნისა და დამნაშავე პირთა კანონიერად დასჯისათვის. ადმინისტრაციული ორგანოები სწორედ ამისათვის არიან მოწოდებული, მაგრამ თუ არ იქნა ყველა საბჭოთა მოქალაქის მიერ კეთილსინდისიერი ხელშეწყობა ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში, მიზანი მთლიანად და სრულყოფილად ვერ იქნება მიღწეული.

პროკურორი ზედამხედველობას უწევს სოციალისტური კანონიერების განხორციელებას. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, ამიტომაც თვით პროკურორი თავ

ისინი საბჭოთა კავშირისთვის იბრძოდნენ

პარტიზანთა ნაკვალევზე

დავით გაჭრაძე,
საბჭოთა კავშირის გმირი.

საქართველოში კურორტები არ გვაკლია, მაგრამ გადავწყვიტე შვებულება ლვოვის ოლქის კურორტ ტრუსკავეცში გამეტარებინა, სადაც ფრონტზე დაღუპული ჩემი ძვირფასი მეგობრების საფლავები, ძმათა საფლავები მეძახდნენ. ჩვენ უფლება არა გვაქვს მდუმარებისა და მარადიულობის სამეფოში მივატოვოთ ფრონტზე დაცემული ჩვენი თანამებრძოლები.

აქ, დროებით ოკუპირებულ დროებიჩის მიდამოებში, არა ერთი და ორი ბრძოლა გადაუხდიათ ჩვენს სახელოვან პარტიზანულ რაზმებს, რომლებიც კარპატებისაკენ მიემართებოდნენ.

დასავლეთი უკრაინა აღტაცებით შეხვდა ჩვენს ლეგენდარულ რეიდს კარპატებში. იმ დროს, როცა კუოსკოროიოლის რკალზე გრანდიოზული ბრძოლა მიმდინარეობდა, ჩვენი ბიგეგი ფაშისტთა ორმა ზურგში მოსახლეობას აუწყებდნენ სიმართლეს ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ, ურიგებდნენ „პრავდის“ ნომრებს და ამავე დროს გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ ოკუპანტთა ჯარებს, აგრეთვე სოფლებში მოკლათებულ ნაციონალისტ ბანდიტებს.

ეს, კარპატები... მიმძიმს იმ დღეთა გახსენება. განუზომლად დიდი იყო ჩვენი რეიდის მნიშვნელობა, ჩვენი გამარჯვება, მაგრამ დიდი იყო დანაკლისიც. ამ მხრივ მარტო სიმონ ვასილის-ძე რუდნევის სახელის გახსენებაც კმარა.

და აი მოვედი ტრუსკავეცში, რათა მოვინახულო ჩემი ძვირფასი მეგობრების საფლავები, დავადგე მათ თავზე და ჩავძახო: „კვლავ თქვენთანა ვარ. თქვენი თანამებრძოლები და ჩვენი ხალხი არასოდეს მიგატოვებთ, ჩვენს შემდეგაც თქვენს საფლავზე მოვლენ თაობები, და მარად იცოცხლებს უკვდავი ლეგენდა კარპატებისა“.

ჩვენ „ბროლის სასახლის“ სანატორიუმში დავბინავდით, მასპინძლებმა დამირეკეს და მთხოვეს აუცილებლად დავსწრებოდი კარპატების რეიდის ოდახუთი წლისთავის აღსანიშნავ კოვპაკელთა შერკვას ერემჩაში.

მანქანით გავეშურეთ ერემჩისაკენ. წინ დიდი გზა გვიდგას, მაგრამ წუთითაც არ მიგრძვნია დაღლა, წინ გაშლილი ჭალები და ტყეებია, მრავალი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადაგვიტანია აქ ფაშისტების წინააღმდეგ და თითქმის ზეპირად ვიცი, სად რომელმა თანამებრძოლმა ჰპოვა სამარე.

უცებ მანქანა შეჩერდა, გზა უცნობებმა გადაგვიღობეს. დაკვირვებით ვიყურები წინ. ჯერ უშვილებელი თაიგულები გავარჩიე, მერე წითელყელსახვევიანმა მოსწავლეებმა აიარეს კისკისით მიდამო. მათი ქვითელ-ხვითელის ქმა ტყეს აწყდება და უკან ბრუნდება.

და ჩემს მეხსიერებაში ცოცხლდება მოგონებანი ს. კოვპაკზე, ს. რუდნევზე, პ. ვერშიგორაზე, გ. ტალახაძეზე, ს. ანისიმოვზე, მ. ანდროსოვზე, მ. ტარტაკოვსკიზე, თ. აღლაძეზე, ჩემს პატარა ვასია მირონჩინზე და სხვა ჩვენს განუყრელ მეგობრებზე. ხოლო დიდი სიმართლე ეს არის ჩვენი მომავალი თაობის გადარჩენილი დიადი სიცოცხლე.

ეს ხომ ჩემი ნაცნობი სოფელი ნაგუვიჩია, სადაც უკრაინის გამოჩენილი მწერალი ივან ფრანკო დაიბადა.

დიახ, ეს არისო, მიდასტურებენ პიონერები.

— ვინ ბრძანდებით? — მორიდებით გვკითხავენ ერთი.

— მე კოვპაკელი ვარ, კარპატების რეიდის მონაწილე, — ვუპასუხებ.

აღარ იცინან, რა ქნან, რით გამოხატონ სიხარული. მე პატარა მეგობრებს თბილისის ხედების სურათები დავურიგე ავტოგრაფებით. უნდა გენახათ მათი აღტაცება! საერთოდ უკრაინელები საოცრად ხალასი და გულწრფელი ხალხია.

დავემშვიდობეთ პიონერებს. მანქანა მიეჭრის. გზა მდინარეს გადაგვიღობა. „ლომნიცა“, — უნებურად გავიფიქრე, — სწორედ აქ, ამ ადგილზე, 1943 წლის ივლისში, მდინარეზე გადასვლის დროს, უამრავი სურსათი დაგვეღუპა.

ცოტა ხნის შემდეგ მდინარე ბისტრიცას მივადექით, ჩვენი დიდი ბრძოლების მრავალგზის მოწმეს. რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ ამ ენგურივით მქუხარე მთის მდინარის კალაპოტში.

აქედან დაიწყო ჩვენი განთქმული კარპატების რეიდი.

მანქანა გავაჩერეთ. ბისტრიცის ცივი წყლით პირისახე გავიგრილეთ, იქვე ნაპირას ჩამოვსხედით. ფიქრებმა წამიღო. თვალწინ დამიდგა ომის წლები, ცხარე, თავგანწირული ბრძოლები. აქ ფრანკოს ოლქის მიწაზე განისვენებენ სახელოვანი მებრძოლები, გამახსენდა ჩემი თანამებრძოლები, რომლებმაც მტრის ციცხლში გამოატარეს პარტიზანთა საბრძოლო დროშები და დღეს თანამემამულეებთან იღგწიან ხალხის საკეთილდღეოდ.

უკრაინის ტერიტორიაზე ისახელა თავი დურმიშხან მაღალაშვილმა, რომელიც რუვინსკის ფეოდოროვის პარტიზანულ შენაერთში იბრძოდა. დურმიშხანი შეუპოვარი, მამაცი და თავდადებული საბრძოლო მოქმედებისათვის მრავალი ორდენითა და მედლით დაჯილდოვეს. ახლა იგი პარტიის მარნეულის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანია.

კარპატების რეიდის მონაწილეა ს. კოვპაკის შენაერთის მზვერავი იასონ ჟორჟოლიანი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი მამაცობით და გამარჯვებული დაბრუნდა სამშობლოში. უკრაინის მიწაზე იბრძოდნენ ჩემი თანამემამულენი: აპოლონ ჩხაიძე, ქრისტო სუხიშვილი, ივანე რეხიაშვილი, არტემ კირკალიძე, ვასილ ოსიყმინეილი, ვლადიმერ ძნელაძე, აკაკი კახეთელიძე, არტემ დილიმვილი და სხვები.

დრო იყო გზა განგვეგრძო. სოფელ რასულნში ხალხი გველოდა. ეს ის სოფელია, რომლის განთავისუფლება საკანგეროდ დამავალა ს. რუდნევმა... მის განთავისუფლებაში მონაწილეობდა ბატალიონის მეთაური მატუჩენკო. ამ ასეულებს სათავეში ედგნენ სახელგანთქმული პარტიზანები გორლანოვი და დეკტიოვი. რასულნში მაშინ ესესელთა პოლკი იდგა. სოფელი განსაკურნებით იყო გამაგრებული, რადგან, იგი კარპატის მთების გასაღებს წარმოადგენდა.

აქაურ ტყეებში და ველებზე ფაშისტებს თავზარსა სცემდა საყოველთაოდ ცნობილი „ისკრის“ პარტიზანული რაზმი, რომელსაც მეთაურობდა ლეგენდარული ვანატი კულაგინი. ამ რაზმის დაზვერვის უფროსი იყო ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ქრისტო სუხიშვილი, დღეს ინსტრუქტორი და ყოფილი პარტიზანების თბილისის განყოფილების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ომის ვეტერანთა საბჭოს წევრი.

არაერთხელ გადაუსერავს ბრძოლით ეს ტერიტორია ნიკოლოზ პროკოპიოვის შენაერთს, რომლის დაზვერვის უფროსი იყო ვლადიმერ ძნელაძე. ეს შენაერთი შემდეგში პოლონეთის ტერიტორიაზე გადავიდა და დიდმნიშვნელოვანი ბრძოლები განაწარიეა. საბჭოთა არმიის წარმატებით წინსვლისათვის მრავალი საბრძოლო ორდენითა და მედლით მკერდდამშვენებული ვლადიმერი დღეს მნიშვნელოვან სამეურნეო და საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. არის ყოფილი პარტიზანთა თბილისის განყოფილების პრეზიდიუმის წევრი, ხშირად მართავს ლექცია-საუბრებს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში, სამხედრო ნაწილებში და ახალწვეულებს შორის.

სურათებზე: ზემოთ — საბჭოთა კავშირის გმირი დავით გაჭრაძე ერემჩაში ყოფილ პარტიზანებთან შეკრების დროს. ქვემოთ — ძმათა სასაფლაო კურორტ ერემჩაში.

გაივლი, გულს გაგიხარებს

მთების მადლობა

მალაროსკარში იმ მზიან დღეს ზღვა ხალხი იყო. საპირველმაისო ზეიმს კიდევ ერთი სიხარული დაერთო — სოფლის ცენტრში გაიხსნა სავაჭრო კომპლექსი, რომელიც ააგო ცეკავშირმა. ორსართულიან ნათელ შენობაში მოთავსებულია სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზიები, ზემო სართულში კი — სასტუმრო და სასადილო, იქვე მახლობლად შენდება პურის საცხობი, გაკეთდა ლამაზად გაფორმებული წყარო. მდინარე მაღაროულაზე აშენდა რკინაბეტონის ბოდი. გაივლის ცოტა ხანი, და მალაროსკარელები იდღესასწაულებენ საშუალო სკოლის ახალი კორპუსის გახსნას. კიდევ ერთი სიახლე — დაწესდა ახალი საავტობუსო მარშრუტი ჩარგალი-მალაროსკარი-თბილისი, ვაუას სოფელ ჩარგლამდე დაგებულია ასფალტი, არაგვის ხეობის ორივე მხარეს მოაბიჯებენ ელექტროგადამცემი ხაზის ფოლადის ანძები, მიმდინარეობს ბარისახო-შატილის გზის მშენებლობა...

მთები მადლობას იხდიან ახალი ზრუნვისა და პატივისცემისათვის.

მრავალ სტუმართა შორის, რომლებიც მალაროსკარში მოვიდნენ, გამოირჩეოდა ოთხმოცდაშვიდი წლის შუაფხოელი ბიბეური ბადრიშვილი, მთელ ხეობაში განთქმული ბრძენი მოხუცი. — დავბერდი, მაგრამ გულმა მაინც აქეთ გამიმიწია, მაინც რა ლამაზი რამ აგიშენებიათ, შვილებო, დაილოცოს თქვენი მარჯვენა! — ამბობს ბიბური.

შენობა მართლაც რომ ლამაზია, მისი პროექტი დამუშავებულია საკავშირო-ეკლამის საპროექტოს მუშაკების მიერ არქიტექტორ ი. დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით. მშენებლობა აწარმოვა ინჟინერმა ა. ლურსმანაშვილმა. გამოყენებულია ადგილობრივი საშენი მასალები, კერძოდ, ქაისხევის ქვა, რომლის წყობას საუკეთესოდ ფლობენ ადგილობრივი ხელოსნები, — გვიამბო ცეკავშირის მრეწველობისა და რეკლამის საბმართველოს უფროსმა მ. ახვლედიანმა.

ორსართულიანი თანამედროვე სტილის ნაგებობა შემკულია ეროვნული ჰედური ხელოვნების ნიმუშებით. იგრძნობა ხევსურული მოტივები, შენობის ფასადს ორგანულად ეწყმის არწივის გამოხატულება, წარწერა „ფშავი“ და უნებურად თქვენს გონებაში ცოცხლდება დიდი ვაჟას სიტყვები „არწივი ვნახე დაჭრილი...“ მალაროსკარი ხომ ვაჟა-ფშაველას მოგონებით სუნთქავს, ახალი ნაგებობიდან არც ისე შორს, ძველისძველი ეკლესიის ეზოში, 1905 წელს ვაჟამ რევოლუციის ერთგულებაზე დააფიცა ფშავ-ხევსურები.

შენობა დაახლოებით 120 ათასი მანეთი დაჯდა. როგორც ცეკავშირის უნივერსალური ბაზის დირექტორმა დ. გოგუაძემ განაცხადა, ახალ მაღაზიებში შემოზიდულია 90 ათას მანეთისაზე მეტი საქონელი. წინასწარი ვარაუდით საქონელბრუნვა აქ ორჯერ და მეტად გაიზრდება.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: სავაჭრო კომპლექსი მალაროსკარში.
ფოტო მ. რუსტიაშვილისა და ი. დამითაშვილისა.

ფრე სოფიაში

გუშინ სოფიაში „ლევსკის“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდს შორის.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. ეს მოხდა მესამე წუთზე. ბურთი უეკოვმა გაიტანა. ამას მოჰყვა ევრიუუიხინისა და ბიშოვეცის ორი გოლი. საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ტაიმი 2:1.

მეორე ნახევარში ბულგარელები ხშირად უტევდნენ კავაზაშვილის კარს, 66-ე წუთზე ისევ უეკოვმა წონასწორობა აღადგინა, შემდეგ კი ბონევმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი, მაგრამ 75-ე წუთზე, გ. ნოდიამ, რომელმაც პარეუიანი შეცვალა, საპასუხო ბურთი გაიტანა.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ — კავაზაშვილი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ლოგჩევი, კაპლიჩნი, სერებრიანიკოვი, მუნტიანი, კისელიოვი, ბიშოვეცი, პარეუიანი (გ. ნოდია), ევრიუუიხინი.

□

უკანასკნელი ტურის წინ

ზაგრები. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის გადადებული პარტიების დამთავრებისას პეტროსიანი და ბორტი ყაიმზე შეთანხმდნენ, ასევე მოიქცნენ ულოფეიჩი და პარმა. ულმანმა მოუგო გიცესკუს. მეთხუთმეტე ტურის ბრაუნ-ფიშერის დაუმთავრებელი პარტია მეორედ გადაიდო ბოზიციაში, სადაც ბრაუნს ზედმეტი ხარისხი, და სპეციალისტთა აზრით, გამარჯვების შანსი აქვს.

უკანასკნელისწინა, მეთექვსმეტე ტურში სმისლოვმა დაამარცხა ულმანი, პეტროსიანმა — ბრაუნი, ჰორტმა — ნიჩევსკი. ივკოვ-გლიგორიჩის და კურაიცა-მაროვიჩის „შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. გადაიდო ფიშერ-კორჩნოის, პარმა-ბერტოკის, გიცესკუ-კოვაჩევიჩის პარტიები.

ლიდერთა ჯგუფის მდგომარეობა ასეთია: ფიშერს აქვს 11,5 ქულა (ორი გადადებული პარტია), ჰორტსა და სმისლოვს — 10,5-10,5, გლიგორიჩსა და პეტროსიანს — 10-10, კორჩნოის — 9,5 ქულა (ერთი გადადებული). (საკ. ინ.).

ფყალბურთი

□

სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საფყლოსნო კლუბის ფყალბურთელებმა დინამოელებთან შეხვედრაში.

მესამე ადგილზეა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა კოლექტივი — 13 ქულა. პროგნოზები თუმცა ყოველთვის სამიმია, მაინც თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ეს სამი გუნდი გაითამაშებს ერთმანეთს შორის პირველობის მედლებს. დანარჩენ გუნდებთან შედარებით ისინი საკმაოდ წინ არიან (მე-4 ადგილი უჭირავთ ალმა-ატის დინამოელებს, რომლებსაც 9 ქულა აქვთ).

მინდა შევეხო ორი კოლექტივის თამაშს, რომლებიც ჩემთვის განსაკუთრებით მახლობლები არიან. ესენია თბილისის „დინამო“, რომელშიც დავიწყე ჩემი სპორტული გზა, და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, რომელში გამოსვლისასაც გვიტანე უკანასკნელი ბურთი ჩემს სიცოცხლეში.

თბილისელებმა 9 თამაშში სულ 8 ქულა მოაგროვეს. შედეგი, რა თქმა უნდა, კარგი ვერ არის. რა არის ამის მიზეზი? მათი მთლიანად ცხადყოფა მოკლე მიმოხილვაში შეუძლებელია, მაგრამ მთავარ მიზეზებს თუ შევეხებთ, ეს არის უწინარეს ყოვლისა ვეტერანთა არასრულფასოვანი შეცვლა და მოთამაშეთა არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური მომზადება. ნუ მიწყენენ ოთარ მიმინოშვილი, რევაზ ოჩიგავა, ჯუბერ წილაური, მაგრამ მათს ასაკში არ შეიძლება იმდენივე ვარჯიში, რამდენიც, ვთქვათ, რამდენიმე წლის წინათ შეიძლებოდა.

სპორტმა არ იცის შედავათები ასაკის გამო. წყალბურთში კი, რა ძლიერ გამოცდილიც უნდა იყო, წარმატებას ვერასოდეს ვერ მიაღწევ, თუ ცურვასა და ფიზიკურ ვარჯიშში დიდი დატვირთვა არ იკისრე. თბილისის „დინამო“ ყოველთვის განთქმული იყო ბრწყინვალე ინდივიდუალური ოსტატობით. სასიამოვნოა, რომ ტრადიცია არ დარღვეულა — ვლადიმერ ისელიძე უდავოდ ნიჭიერი, თვითმყოფი, კარგი მომავლის მქონე მოთამაშეა, მაგრამ... არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ძალა ერთობაშია“.

და მაინც მე ოპტიმისტურად ვუყურებ თბილისის „დინამოს“ მომავალს. გუნდის საჭესთან დგას გამოცდილი მწვრთნელი როსტომ ჩაჩავა, თბილისში არიან პერსპექტიული იუნიორებიც — და ეს საფუძველს მაძლევს განვაცხადო, რომ ქართული წყალბურთი მალე დაიწყებს თავს დეპრესიას...

...წყალბურთში მრავალი წლის მანძილზე შორს იყო განთქმული პეტრე მშვენიერაძის — სსრ კავშირის ნაკრების კაპიტნის სახელი. „კაკო“, როგორც სიყვარულით ეძახდნენ მას მეგობრები, უკვე გამოეთხოვა წყალბურთს, შეიცვალა იგი... მასწავლებლის კათედრით. მაგრამ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს ჯერაც შეხვდებით აუზში... და თუ დიქტორი აცხადებს, გოლი მშვენიერაძემ გაიტანაო, არ გაგიკვირდეთ... მამის ტრადიციას განაგრძობს შვილი — ნუგზარ მშვენიერაძე, მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდის მთამაშე.

თბილისში გაიმართა ამ ტანმაღალი, ჩინებული ფიზიკური აღნაგობის წყალბურთელის დებიუტი. და უნდა ითქვას, რომ ნუგზარმა უკვე მიიაყარა სპეციალისტთა ყურადღება. დარწმუნებული ვარ, რომ მისი სპორტული ბიოგრაფია მამის სპორტულ ბიოგრაფიაზე ბკრთალი არ იქნება. და თუ ახლა მოსკოვის სტუდენტები საპატიო მესამე ადგილზე არიან, ამაში 18 წლის მშვენიერაძის დიდი დამსახურებაც არის.

წყალბურთელებთან ახლა მიწყნარება დგება. მეორე წრის თამაშები გვიან შემოდგომაზე დაიწყება, მაგრამ ნაკრებს დასვენება არ ეკნება. სექტემბერში ბარსელონაში (ესპანეთი) გაიმართება ევროპის ჩემპიონატი, სადაც საბჭოთა წყალბურთელებს მოუხდებათ დაიცვან თავიანთი ტიტული ჩემპიონობისა, მანამდე კი შედგება ამხანაგური მატჩები მსოფლიოს უძლიერეს გუნდებთან. აქვე უნდა ვთქვა, რომ თბილისელებიც იხიოვენ საინტერესო ორთაბრძოლებს. მაისის დამლევს საქართველოს დედაქალაქში გაიმართება ტურნირი სსრ კავშირის, უნგრეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების მონაწილეობით. მოგაგონებთ, რომ მუნიკოს ოლიმპიურ ასპარეზობაში სწორედ ეს ნაკრები გუნდები ვახდენენ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მფლობელენი.

ვლ. რაშმაჯანი,
სპორტის ოსტატი, საკავშირო რადიოს კომენტატორი, წყალბურთში მსჯელთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარე.

თბილისი ასახელებს ნაკრებს

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დამთავრებული პირველი წრის მთავარი თავისებურება ის იყო, რომ სწორედ თბილისში გამართული თამაშების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს ა. ბლიუმენტალს უნდა დაესახელებინა საუკეთესოები, რომლებიც უკვე რამდენიმე დღის შემდეგ ახალი სეზონის პირველ საერთაშორისო მატჩში უნდა შეხვდნენ იტალიის ფყალბურთელებს. შემადგენლობა ნაკრებისა, რომელიც იტალიაში მიემგზავრება, უკვე ცნობილია: მეკარეები — ო. ბოვინი (მოსკოვის „დინამო“) და ვ. გულიაევი (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საფყლოსნო კლუბი); მცველები — ა. დრეკალი (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ა. აკიმოვი (სამხედრო-საზღვაო ფლოტი); ნახევარმცველები — ვ. სკოკი (მოსკოვის „დინამო“), ა. შიდლევსკი (სამხედრო-საზღვაო ფლოტი); თავდამსხმელები — ა. კაბანოვი, ლ. ოსიპოვი (ორივე — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ვ. სემიონოვი (სამხედრო-საზღვაო ფლოტი) და ვ. ისელიძე (თბილისის „დინამო“).

თქვენ, რა თქმა უნდა, ყურადღება მიაქციეთ ნაკრების ვიწრო გეოგრაფიას. დიახ, ნაკრებში მხოლოდ ოთხი კლუბის წარმომადგენლები არიან. ახლა შევხედოთ იმ გუნდების მდგომარეობას პირველობაში, რომელთა წარმომადგენლები 1970 წლის ნაკრებში არიან.

უმრავლესობას (4) სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საფყლოსნო კლუბის გუნდის მოთამაშენი შეადგენენ. მაგრამ გუნდი პირველობაში ახლა მხოლოდ მეორე ადგილზეა, უმაღლესი საფეხური დაუთმო სსრ კავშირის ჩემპიონებს — მოსკოვის დინამოელებს. ჩვენს ჩემპიონებს 18 ქულა აქვთ 18 შესაძლებლიდან. დინამოელების ასეთი წარმატებითი სტარტი არ მახსოვს. განსაკუთრებით საიმედოდ თამაშობენ გუნდში დაცვის ხაზები, რომლებსაც სათავეში უდგას გამოცდილი ოსტატი გივი ჩიქვანაია. სამი ქულა დაკარგეს ლოვნების ნიმუშებით. იგრძნობა ხევსურული მოტივები, შენობის ფასადს ორგანულად ეწყმის არწივის გამოხატულება, წარწერა „ფშავი“ და უნებურად თქვენს გონებაში ცოცხლდება დიდი ვაჟას სიტყვები „არწივი ვნახე დაჭრილი...“ მალაროსკარი ხომ ვაჟა-ფშაველას მოგონებით სუნთქავს, ახალი ნაგებობიდან არც ისე შორს, ძველისძველი ეკლესიის ეზოში, 1905 წელს ვაჟამ რევოლუციის ერთგულებაზე დააფიცა ფშავ-ხევსურები.

იუგოსლავიაში გაემგზავრნენ

გუშინ სსრ კავშირის ფალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის იუგოსლავიაში გაემგზავრა. ეს მსპარეზობა 10 მაისს დაიწყება და ორ კვირას გაგრძელდება. წინასწარი შეხვედრები სამ ქვეჯგუფში 13 მაისს დამთავრდება. ფინალური ასპარეზობა ქვეჯგუფებში გამარჯვებულ ორ-ორი გუნდისა და იუგოსლავიის ნაკრების მონაწილეობით 16 მაისს დაიწყება. ქვეჯგუფში საბჭოთა ნაკრების მეტოქეები არიან — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ურუგვაისა და პანამის გუნდები.

კომუნისტი ლაპარაკობს

ასპარეზობათა კალენდარი

● **რიგაში** დამთავრდა ფიგურისტთა საერთაშორისო ტურნირი. წყვილთა ასპარეზობაში წარმატება ხვდათ ოლიმპიურ ჩემპიონებს ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვს, ცეკვებში — ს. ალექსეევასა და ა. ვოიტიუკს, ერთეულებში ბ. ტატოვასა და ხ. ვოლგუშევს.

● **დამთავრდა** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. წარმატება ხვდა იტალიის საკლუბო გუნდს „ფიდელს“, რომელმაც ორივე ფინალური მატჩში დაამარცხა საფრანგეთის გუნდი „ჟანა დ'არკი“ 64:60 და 87:65.

გ. თ. ქარანაძის დაკრძალვის მომზადება-კომისიისაგან

გ. თ. ქარანაძის ცხედარი დასვენებულ იქნება 7 მაისს საბჭოთა არმიის ოფიცერთა სახლში, რუსთაველის პროსპექტი, № 16.

გამოთხოვება დაიწყება დღის 2 საათიდან. გამოსვენება 4 საათზე. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

რადიო

7 მაისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — უკრავს საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრი „ცისფერი ეკრანი“, 09.30 — რუსულენოვანი გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — ქართული რომანსები და საფორტეპიანო პიესები, 11.45 — ა. პახმუტოვა. სიმღერები, 12.10 — საუბარი „7 მაისი რადიოს დღეა“, 12.25 — შ. მშველიძე. მეოთხე სიმფონია, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.45 — საუბარი „დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — აზერბაიჯანის რადიოსა და ტელევიზიის ხალხურ საკრავთა ორკესტრის კონცერტი, 17.35 — მოსწავლეთათვის. „მათაც უხმობდა სამშობლო“, 18.10 — უკრავს საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი, 18.45 — რ. შჩედრინი. საფორტეპიანო პიესები, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — პ. ჩაიკოვსკი. ფრაგმენტები ოპერებიდან, 21.00— „ძილისპირული“, 21.15 — რადიოკომპოზიცია „ლაპარაკობს თბილისი!“, 22.00 — რადიოდადგმა „ზღვის ქარი“, 22.50 — სიმღერები გ. ჩოხელის შესრულებით, 23.30 — მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

6 მაისი

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 11.30 — ლექცია ფიზიკაში, 12.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1943 წელი (ქართულ ენაზე), 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — კინონარკვევი, 18.15 — განცხადებები, 18.20 — გადაცემა ბავშვებისათვის — „გაბედული ფოტომონადირე“, 18.35 — გადაცემა — „სვეტრიან ისიანი“, 18.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „გლობუსი“, 19.55 — მრავალსერიიანი პოლონური სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. მესამე და მეოთხე სერია (ქართულ ენაზე), 21.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „ცისფერ ეკრანზე“, 23.55 — ფინალური შეხვედრა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. „ფეიენორდი“ ჰოლანდია — „სელტიკი“ შოტლანდია (გადმოცემა იტალიიდან).

თეატრები

6 მაისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ძველი ვოდევილები (3 აპრილისათვის შეძენილი ბილეთები ვარგისია 6 მაისს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — გაზზარული ფირფიტა; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჯართი (№ 61 აბონ. დილის 10 ს., № 25 აბონ. საღ. 6 ს.); **თოჯინების ქართული** — თხუპნია (11 და 1 საათზე მე-60 სკოლა).

კინო

6 მაისი

ისანი (საზამთრო), გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო), სპორტი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), თბილისი — **შუქი ჩვენს ფანჯრებში**; ამირანი (საზამთრო), 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი — **ფილატელისტის სიკვდილი**; ოქტომბერი — **ფიქრი ბრიტანკაზე**; საქართველო (მწვანე დარბაზი) — **ეს წამი**; ისანი (საზაფხულო), ეკრანი — **ილაპარაკონ!**; 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — **ორთაბრძოლა მთებში**; 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), კომკავშირელი — **საბჭოთა კავშირის ელჩი**; თანამგზავრი, ვაკის პარკი — **უდაბნოს თეთრი მზე**; ნაკადული — **სამართალში ვერ მიიცემა**; კოლხიდა (საზაფხულო) — **არახჩინიანი ანგელოზი**; ვარძია, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **წითელი ქვიშა**; სპორტი — **არ დაიდარდო** (ქართული ვარიანტი); პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **დაგვიანებული ყვავილები**; ბათუმი — **სამნი**; გორკის სახელობის კულტურის სახლი — **სახოების ნაპირი**.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, ბ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის—93-28-54, | **ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 УЕ 03238

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.